

ძლიერი ქალები – ძლიერი საქართველო

#strongertogether

ექვსი წლის განმავლობაში ევროკავშირი დაუღალავად მუშაობდა ქალთა უფლებების დასაცავად და მათ გასაძლიერებლად იმ მიზნით, რომ ქალებს სრულად გამოეყენებინათ საკუთარი პოტენციალი. გენდერული თანასწორობა წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვაკუთხედს. ის უმნიშვნელოვანესია როგორც თითოეული ქალის და მამაკაცის ცხოვრების, ისე გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისთვის. საქართველოსთან თანამშრომლობის პროცესში ევროკავშირი ახორციელებს რეალურ ცვლილებებს, რაც ხდება **ბიზნესში დასაქმებული ქალების** გაძლიერებით, **შესაძლებლობის უზრუნველყოფით მაღალი ხარისხის განათლების** მისაღებად და **სამართლიანი საზოგადოების** ხელშეწყობით.

რა კეთდება

- **გენდერული სამოქმედო გეგმები**
გენდერული პრობლემემატიკის გათვალისწინება საჯარო პოლიტიკის ყველა საკითხში და გენდერზე დამყარებული სტატისტიკის წარმოება
- **ახალი და გაუმჯობესებული კანონმდებლობა**
ანტი-დისკრიმინაციული და ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კანონების მიღება და ცხოვრებაში გატარება
- **უფრო მეტი ქალი ბიზნესში**
ადგილობრივი ბანკების საშუალებით სესხების გაცემა კომპანიებზე, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ
- **ახალი საგანმანათლებლო და კარიერული შესაძლებლობები**
მრავალი სხვადასხვა სახის გაცვლითი პროგრამის შეთავაზება ევროპის მასშტაბით პროგრამის ერაზმუს+ საშუალებით
- **ახალგაზრდა ლიდერი ქალები**
ახალგაზრდა ქალების უფრო აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა პროგრამის EU4Youth საშუალებით

ქალები ბიზნესში

ევროკავშირი მხარს უჭერს მენარმე ქალებს საქართველოში პროგრამის **ქალები ბიზნესში** საშუალებით, რომელსაც ახორციელებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). პროგრამის საშუალებით განუვლი მხარდაჭერა მოიცავს **ბიზნეს-რეკომენდაციებს, ტრენინგებს და მენტორობას** ქალების ხელმძღვანელობით მართული კომპანიებისთვის, ასევე **დაფინანსებას** ადგილობრივი ბანკებისთვის გამოყოფილი სპეციალური საკრედიტო ხაზების საშუალებით.

2019 წელს ევროკავშირის მცირე და საშუალო სანარმოების მხარდაჭერის პროგრამით საქართველოში **919-მა მენარმე ქალმა** მთლიანობაში **76 მილიონი ევროს** ოდენობის **სესხი** მიიღო, ხოლო **84-მა** მიიღო **გრანტები**, რომელთა საერთო ოდენობა **500,000 ევრომდეა**. **8,5000-ზე** მეტმა ქალმა ისარგებლა **საკონსულტაციო მომსახურებით**. მხარდაჭერილი კომპანიების **ბრუნვა 100 მილიონ ევროზე** მეტით გაიზარდა, და ამ მხარდაჭერის შედეგად შეიქმნა **7,895 ახალი სამუშაო ადგილი**.



„მათი მხარდაჭერით შევედი ჩვენი შემოსავლების სტაბილიზაცია და ბიზნეს-გეგმის შემუშავება დაბალპროცენტული სესხის მისაღებად“.

თბილისში მდებარე საკუთარი თვალის კლინიკა **თეკლა მამაგვიშვილმა** პროექტის **ქალები ბიზნესში** მხარდაჭერით გააფართოვა.

გარდა ამისა, EU4Business ინიციატივის ფარგლებში მენარმე ქალებისთვის საქართველოში არაერთი სხვა სახის დაფინანსება და საკონსულტაციო მომსახურებაა ხელმისაწვდომი.



„როდესაც დაფინანსება მივიღე, მქონდა იდეა, მაგრამ არ მქონდა გამოცდილება და უნარები. სამენარმიო სკოლა სწორედ ამაში დამეხმარა.“

პროგრამის EU4Youth მხარდაჭერით ციცი შენგელიამ თავისი ჰობი - ხეზე მუშაობა ბიზნესად აქცია.

EU4Youth

- პროგრამა **EU4Youth** მხარს უჭერს ახალგაზრდებს დასაქმებისთვის საჭირო უნარების ათვისებაში, ხელს უწყობს და ინვესტიციებით ეხმარება **ახალგაზრდულ მენარმიობას**, განსაკუთრებით - დაუცველ და არახელსაყრელი პირობების მქონე ჯგუფებს.
- ევროკავშირმა მიზნად დაისახა **ახალგაზრდა ქალების მხარდაჭერის 75%-იანი მაჩვენებლის მიღწევა** პროგრამის EU4Youth ფარგლებში.
- EU4Youth აფინანსებს **5 საგრანტო პროექტს**, რომლებიც საქართველოში ხორციელდება.
- 2018-2020 წლებში საქართველოში **3,361-მა** ახალგაზრდა ქალმა მიიღო მონაწილეობა **ტრენინგებსა და სემინარებში** პროგრამის EU4Youth საგრანტო პროექტების ფარგლებში, **296-მა** გაიარა **სტაჟირება**, ხოლო **96** მხარდაჭერის მიღების შემდეგ **თვითდასაქმებული** გახდა.

www.euforyouth.eu

სამართლიანი საზოგადოება

პანდემიის პასუხად ევროკავშირი აფინანსებს პროექტს, რომლის მიზანია **„ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში“**. პროექტი ახორციელებს იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აუმჯობესებს ოჯახური ძალადობის სამთავრობო სამსახურების ინფორმირებულობას და თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან რეაგირების გეგმების შემუშავებაზე.

მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში **4,000-ზე მეტმა ადამიანმა** ჩამოტვირთა მობილური აპლიკაცია **112 საქართველო**, აღჭურვილი **SOS ღილაკით**, რომელიც დაუყოვნებლივ უგზავნის პოლიციას სასწრაფო შეტყობინებას.

EU4GENDER EQUALITY

ეს რეგიონული პროგრამა, დაფინანსებული ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში, მიზნად ისახავს **თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების განმტკიცებას** ქალებისა და მამაკაცებისთვის; ეს ხდება **სოციალური ნარმოდგენების შეცვლით** გენდერული როლების შესახებ, გენდერული სტერეოტიპების პრობლემის მოგვარებით და მამაკაცების მხრიდან მეტი პასუხისმგებლობის აღებით ბავშვებზე ზრუნვასა და სხვა საოჯახო საქმეებში.

საქართველოში პროექტმა განახორციელა სოციალური მედია-კამპანია საზოგადოების ყურადღების გამახვილების მიზნით **მამობის გამოცდილებაზე**, დაწყებული **პრენატალური სტადიიდან**, და **ჩვილობის და ადრეული ბავშვობის ასაკის** ჩათვლით.

ერაზმუს+

პროგრამის **ერაზმუს+** საშუალებით ევროკავშირი საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალებს ევროპაში გაცვლითი შესაძლებლობების უდიდეს არჩევანს სთავაზობს.

პროგრამის ერაზმუს+ შესაძლებლობები მოიცავს შემდეგს:

- სასწავლო სტიპენდიები ევროპაში
- სტუდენტური გაცვლები
- ახალგაზრდობის გაცვლები
- ევროპის სოლიდარობის კორპუსი
- შესაძლებლობები ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავეებისთვის
- ახალგაზრდობის მონაწილეობა დიალოგში რეფორმების შესახებ

- 2015–2019 წლებში ევროკავშირის დაფინანსებამ **4,757 სტუდენტს** და აკადემიური პერსონალის **წარმომადგენელს** საქართველოდან ევროკავშირში სწავლის და სწავლების საშუალება მისცა; **მაგისტრატურის 108 სტუდენტმა** საქართველოდან პროგრამის ერაზმუს სრული სტიპენდია მოიპოვა.
- საქართველოდან **9,300-ზე მეტი ახალგაზრდა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე** მონაწილეობდა ერთობლივ გაცვლით, ტრენინგის და მოხალისეთა პროგრამებში.

პროგრამა **ერაზმუს+** საქართველოში: www.erasmus-georgia.org

პასუხი თქვენს ყველა კითხვას: www.eunighbours.eu/en/east/stay-informed/cards/erasmus-georgia

„ამ პროექტმა უდიდესი იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება გამიწია და დღეს ვარ უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე,“

მარიამ დალაქიშვილი,
ბენეფიციარი



იხილეთ მეტი:

EU4Gender Equality: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად

